



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო კ მ ი N5

ქალაქი ბათუმი

2022 წლის 29 სექტემბერი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე - რამაზ ჯინჭარაძე

ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :

- | | |
|-------------------|---|
| ირაკლი თავდგირიძე | - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე; |
| ნატალია ზოიძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| ზურაბ ნაკაიძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| მინდია გოგუაძე | - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების
კომისიის თავმჯდომარე; |
| დავით მახარაძე | საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო
- საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ლევან ცხოიძე | საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა
- და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| გოჩა მგელაძე | - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური
განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| ნერიმან ცინცაძე | - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| თენგიზ აფხაზავა | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -
დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე; |

ასლან ბალაძე	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
რიჩარდ სირაბიძე	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
როსტომ ხალვაში	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ცხვარაძე	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
ლევან ბერიძე	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნოდარ დუმბაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნაზი ფუტყარაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი ლომთათიძე	- საკრებულოს წევრი;
ლევან დოლიძე	- საკრებულოს წევრი;
აკაკი გვიანიძე	- საკრებულოს წევრი;
რევაზ ხარაზი	- საკრებულოს წევრი;
თეონა ბერიძე	- საკრებულოს წევრი;
ნატალია მიძიგური	- საკრებულოს წევრი;
ვაჟა დარჩია	- საკრებულოს წევრი;
თეკლა კავაზაშვილი	- საკრებულოს წევრი;
ალექსანდრე ვარშალომიძე	- საკრებულოს წევრი.

არ ესწრებოდნენ:

- ლაშა კილაბერია - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
- ბაჩი მექვაბიშვილი - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ნატო ნაცარაშვილი - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ირაკლი ზოიძე - საკრებულოს წევრი.
- ქეთევან ლასტაკანიძე - საკრებულოს წევრი;
- ეკატერინე ზარია - საკრებულოს წევრი;
- მამუკა ქობულაძე - საკრებულოს წევრი;
- ილია ჯინჭარაძე - საკრებულოს წევრი;
- კახაბერ ქაშიბაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მამუკა რამიშვილი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კოპინაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჭარაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი - სოფო მიქელაძე;
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის ხელმძღვანელი - პაატა დიასამიძე;
- საზოგადოებრივი განვითარების აკადემიის პროგრამების ხელმძღვანელი - რომან დოლაბერიძე;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;
 - საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;
 - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;
 - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;
 - საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;
 - საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.
- პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა დღის წესრიგით წარმოდგენილი 17 საკითხის განხილვის თაობაზე.

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ მოითხოვა „ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე მუნიციპალური ავტობუსებით მგზავრობის ნულოვანი (უფასო) ტარიფის დაწესების შესახებ“ საკითხის დამატება და აღნიშნა ბოლო პერიოდში მიკროავტობუსებში მგზავრობის ტარიფის გაძვირების თაობაზე, რაც მძიმედ აისახება მოქალაქეების სოციალურ მდგომარეობაზე. ასევე აღნიშნა პრობლემის - სატრანსპორტო საცობების მომრავლების თაობაზე და მოუწოდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ამ მიმართულებით, ამავდროულად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ბასლაინების გაგრძელებასთან და პარკირების ადგილებთან დაკავშირებით მუშაობის დაწყებისაკენ. აღნიშნულის ერთ-ერთი წამახალისებელი ზომა მოქალაქეთა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე გადაყვანისათვის იქნებოდა რომ დროებით ზომად გამოყენებულ იქნეს ნულოვანი ტარიფი საზოგადოებრივ ტრანსპორტში. რაც შეეხება ფინანსურ საკითხებს 2021 წლის განმავლობაში მგზავრობა გადაყვანის შედეგად ბათუმის ავტოტრანსპორტმა მიიღო მილიონ 156 400 ლარი და ამისი ნახევარი 420 ათასი ლარი მხოლოდ და მხოლოდ მგზავრობა მონიტორინგის ხელფასებზე იხარჯება. შესაბამისად მიაჩნია, რომ სულ რაღაც ნახევარი მილიონი ლარი სჭირდება პრობლემის გადაწყვეტას, როგორცაა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის მხვრივ მოქალაქეების წახალისება. ითხოვა საკრებულომ მხარი დაუჭიროს, მოიწონოს ინიციატივა და მოუწოდოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ამ მიმართულებით მუშაობის დაწყებისაკენ. ფინანსური გათვლების შემდგომ კი წარმოადგინონ წინადადება.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საკითხი შეტანილი იქნას სხდომის ოქმის განცხადებების ბლოკში და წერილობით გადაეგზავნოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას.

საკრებულოს წევრმა, ნოდარ დუმბაძემ აღნიშნა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-10 და მე-15 საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე დღის წესრიგის მე-2 და მე-3 საკითხად განხილვის თაობაზე. ასევე აღნიშნა, რომ საკითხების ირგვლივ პასუხგასაცემი კითხვების არსებობის გამო ქალაქის მერის, მერის მოადგილეების, მერიის სამსახურის უფროსების სხდომაზე დასწრების თაობაზე, რაზედაც სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ კითხვებზე წერილობით პასუხის გაცემა არის კანონით გათვალისწინებული და შესაბამისად ყველა საკრებულოს წევრმა უნდა მიიღოს პასუხი.

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ აღნიშნა დამტკიცებული დღის წესრიგიდან დამატებით შემოსული საკითხების ამოღების თაობაზე, რადგან შეუძლებელი იყო საკითხების სიღრმისეულად შესწავლა სხდომამდე ერთი დღით ადრე წარმოდგენიდან გამომდინარე.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე – ანგისის ქუჩაზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავკარაძე)

საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე – მარუხის ქუჩაზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავკარაძე)

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავკარაძე)

საკითხი 4. „ბავშვზე მორგებული ქალაქის ინიციატივის (CFCI) განხორციელების 2022-2025 წლების სტრატეგიისა და 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი - სოფიო მიქელაძე)

საკითხი 5. „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ ფარგლებში პროგრამაში მონაწილე პირველ და მეორე ეტაპზე უკვე ჩატარებული კვლევების შედეგად მინიჭებული 40 000 ქულიანი ოჯახებისათვის საცხოვრებლის გადაცემის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი - სოფო მიქელაძე)

საკითხი 6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით განსაკარგი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების 1 კვმ-ს საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, გორგილამის ქუჩა N91-ის მიმდებარედ არსებული 19,0 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

საკითხი 8. (კორექტირებული) „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

საკითხი 9. „ბათუმის ღამის თავშესაფარში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილების პროგრამული ღონისძიების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

საკითხი 10. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, მდ. ბარცხანას და მდ. ყოროლისწყალს შორის მდებარე 3445 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს:ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 11. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩა N47ა-ს მიმდებარედ არსებული 77 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს:ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 12. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.ბათუმში, შავშეთის ქ.N26-ში, I სართულზე მდებარე ფართის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (39,28. კვ.მეტრი ფართი).

(მომხს:ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 13. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.ბათუმში, შავშეთის ქ.N26-ში, I სართულზე მდებარე ფართის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (47,77. კვ.მეტრი ფართი).

(მომხს:ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 14. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს:ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ მამუკა რამიშვილი)

საკითხი 15. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს:ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ მამუკა რამიშვილი)

საკითხი 16. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 თებერვლის №8 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 აგვისტოს N45 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

საკითხი 17. „ქ. ბათუმში, ძმები ზუბალაშვილების ქ.N36 მდებარე საცხოვრებელ სახლზე, გამოჩენილი ქართველი გეოფიზიკოსის, მეცნიერის, რომის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის პეტრე მანჯგალაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს:ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა
და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხომე)

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი, დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 26

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18 (რ. ჯინჭარაძე, ი. თავდგირიძე, ნ. ზომიძე, ზ. ნაკაიძე, მ. გოგუაძე, დ. მახარაძე, ლ. ცხომე, გ. მგელაძე, ნ. ცინცაძე, თ. აფხაზავა, ა. ბალაძე, რ. სირაბიძე, რ. ხალვაში, ნ. ცხვარაძე, ლ. ბერიძე, გ. ლომთათიძე, ლ. დოლიძე, თ. ბერიძე)

წინააღმდეგი - 8 (ნ. დუმბაძე, ნ. ფუტყარაძე, რ. ხარაზი, ა. ვარშალომიძე, თ. კავაზაშვილი, ვ. დარჩია, ა. გვიანიძე, ნ. მიძიგური)

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე და საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში გადაგზავნა.

საკრებულოს წევრმა, ნოდარ დუმბაძემ ისაუბრა რამდენიმე ხნის უკან ტრანსპორტთან დაკავშირებით ანტიკორუფციული არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გაკეთებული განცხადებისა და გასულ წელს რეკლამის თაობაზე აუქციონის გამოაცხადის შესახებ. შესაბამისად ტრანსპორტში შეიქმნა მონიტორინგის სამსახური. რეკლამასთან დაკავშირებით წელიწადში ავტოტრანსპორტი ღებულობს დაახლოებით 136 000 ლარს. აუქციონში გამარჯვებული ფირმის შემოსავლები წლის განმავლობაში დაახლოებით 7 მილიონი ლარია. საჭიროა გადაიხედოს აუქციონის

პირობები, რადგან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია კარგავს რამდენიმე მილიონს.

საკრებულოს წევრმა, ნოდარ დუმბაძემ აღნიშნა ქალაქ ბათუმში, 9 მარტის ქუჩა N5-ში რამდენიმე თვის უკან მომხდარი ხანძრის თაობაზე. ზემოხსენებული მისამართის ავარიული, საცხოვრებლად საშიში ფართი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ავარიული სახლების ნუსხაში აქვს შეტანილი. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა ოჯახი გადაიყვანა დროებით სასტუმროში, სადაც ერთი თვის განმავლობაში უხდიდნენ ქირას, ხოლო შემდეგ მოითხოვეს გადაიყვანა ქირით და ხელშეკრულების წარმოდგენა, რომლის საფუძველზეც მოხდებოდა ქირის გადასახადის ანაზღაურება, თუმცა 5 თვეა ქირით გადასულ ოჯახს არ უხდიან ქირის თანხას და ვერ გადაუწყვიტეს საცხოვრებლის პრობლემა. მან ითხოვა ამ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესება და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებისგან შესაბამისი პასუხის გაცემა.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ განმარტა, რომ პროგრამა ითვალისწინებს ავარიული სახლების პრობლემებს და მოითხოვა ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პასუხისმგებელი პირების მოწვევა, მსჯელობისა და პრობლემის მოგვარების მიზნით.

საკრებულოს წევრმა, ნაზი ფუტყარაძემ ისაუბრა ქალაქის პრობლემებზე, რომლებიც საერთოდ არ მოგვარებულა, ან დაწყებულია და დაუსრულებელია და თუ დასრულებულია უხარისხოა. უკვე მეცხრე თვეა, რაც საკრებულომ ხალხის ბიუჯეტი, ბათუმელების პრობლემების გაუთვალისწინებლად დაამტკიცა. კერძოდ:

- თამარ მეფის გამზირზე აგებულია შევიწროვებული ხიდი, რომელიც საცობს ქმნის. ხიდი ქვემოდან დაბზარულია და საშიშია უბედურება არ გამოიწვიოს. დროულად გადასამოწმებელია და მისაღებია შესაბამისი ზომები.

- მახინჯაურისა და ძმები ნობელების მუზეუმის მიმდებარედ არსებულ სკვერში საქმის ნახევარიც არ არის შესრულებული. მახინჯაურში ყოფილი რკინიგზის სადგურის შენობა საშინელ მდგომარეობაშია და ირგვლივ ანტისანიტარიაა.

- ქალაქში მომრავლებულია უპატრონო ძაღლები. მოქმედი პროგრამით მიჰყავთ ძაღლები, ნომრავენ და სხვა პროცედურებს უტარებენ, შემდეგ უკან აბრუნებენ. დამშეული ძაღლები ხდებიან აგრესიულები და იყო დაკბენილი მოქალაქეების შემთხვევები.

- ნობელების ქუჩაზე გადასასვლელი ხიდის თაობაზე 2023 წლის ახალი ბიუჯეტის განხილვისას დააყენეს საკითხს.

- ჩანგრეულია ბაქრაძის ქუჩაზე მდინარის ჯებირი და სიხარულიძეების სამ ოჯახს, რომელთა საცხოვრებელი სახლიც ჩაიყოლა მდინარემ.

- მარკოზ აჭარელის მე-4 შესახვევი დღემდე მოუწესრიგებელია, წინა წლების სატენ-დერო დოკუმენტების მიხედვით ზურაბ ნაჭყებიას ქუჩასთან ერთად გახარჯულია 3000 ლარზე მეტი თანხა, მაგრამ საერთოდ სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩატარებულა, მიუხედავად იმისა ტელევიზიითაც იქნა გაშუქებული, და წერილობითი მომართავაც ჰქონდათ.

- სკოლებში სწავლა დაიწყო და უჭირთ ბავშვებს გადაადგილება, სამარშრუტო ხაზზე მოძრაობა შეჩერებულია. მოსახლეობა მოითხოვს ხაზების აღდგენას ან მუნიციპალური ავტობუსის შესვლას. დაუდგენელია მგზავრთა გადაყვანის ტარი-

ფის გამო ჯარიმდებიან მძღოლები, საწვავი გაძვირებულია და არ იკლებს, მძღოლები იძულებული არიან დატოვონ ხაზები, ასევე არ არის გაჩერებებზე მოსაცდელები.

- მოსწონს ბავშვზე მორგებული პროგრამა, რომელიც დღეს დღის წესრიგშია, ბავშვები, რომლებიც შორს გადაადგილდებიან უმჯობესია სკოლას ტრანსპორტი მიემაგროს და ასევე დაუფინანსდეს ერთჯერადი კვება ჯანსაღი თაობის აღზრდისათვის.

საკრებულოს წევრმა, რევაზ ხარაზმა ისაუბრა სტატისტიკაზე, კერძოდ 2022 წლის იანვარში სოციალური დახმარების მიმღებ ბაზაში რეგისტრირებული იყო 5800 ოჯახი 100 ათას ქულამდე, აქედან 4018 ოჯახი 70 ათას ქულამდე არის უკიდურესად გაჭირვებული, ასევე აგვისტოს თვის მონაცემებით 215 ოჯახით გაზრდილია რაოდენობა. სახსტატის მონაცემებით ბრინჯი 124%-ით, წიწიბურა 127%-ით, ხორბლის ფქვილი 176 %-ით საწვავი და.ა. შ მას სურს საკრებულო გაეცნოს დოკუმენტებს. ეს ყველაფერი ხდება იმ ფონზე, როცა მთავრობა ამტკიცებს ყველაფერი კეთდება იდეალურად.

საკრებულოს წევრი, თენგიზ აფხაზავა განმარტავს, რომ არაფერი არ ეშველება ქვეყანას, სადაც არ შეიქმნება სოლიდური საზოგადოება, ყველა სახელმწიფო განვითარდა, რომელთა ეკონომიკურ მდგომარეობას შენატრით, მას შემდეგ, რაც შეიქმნა სოლიდური საზოგადოება, რომელმაც გაითავისეს ერთმანეთის ჭირ-ვარამი და რომლებიც არ მალავდნენ შემოსავლებს. უკიდურესად მყოფ სიღატაკში მცხოვრებს 80% აქვს სოლიდური დამატებითი შემოსავალი, რომლებსაც არ აღრიცხავენ. მიმართა რევაზ ხარაზს, რომ მის მიერ წარმოდგენილი სურათი არ ასახავს სინამდვილეს. ასევე მიმართა ჟურნალისტებს, რომ ინტერვიუს ჩაწერისას გაზეთში აქვეყნებენ კონტექსტიდან ამოგლეჯილ სამ წინადადებას, რომელიც არ არის სწორი და ღირსეული საქციელი.

საკრებულოს წევრი, ვაჟა დარჩია გამოეხმაურა ორი კვირის წინ ტელევიზიის პირველ არხზე გასულ სიუჟეტს ოპოზიციურ პარტიებში აგენტებთან დაკავშირებით, 20-25 წლის სტუდენტებს ცხოვრების გზაზე პირველი ნაბიჯის გადადგმისას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური სთავაზობს ჯამშუმობას, აგენტობას.

საკრებულოს წევრი, აკაკი გვიანიძე თენგიზ აფხაზავას კომენტარს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ სანამ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას დაუთვლით, რა გააკეთეს მანამდე უკეთესი იქნება თანამდებობის პირებმა წარმოადგინონ ზუსტი დეკლარირება. რაც შეეხება ბათუმის ავტოტრანსპორტში მიმდინარე სიტუაციას, რომელიც შეშფოთების საფუძველს იძლევა, პირველ რიგში უნდა დაინტერესდეთ ავტოტრანსპორტში არსებული გაფიცვით, რადგან თანამშრომლების ნაწილი უკმაყოფილებას გამო-თქვამს და იბრძვის თავისი უფლებებისათვის, რომ ისინი არ აღმოჩნდნენ სამსახურიდან დათხოვნილი ან სოციალური გარანტიების გარეშე. ასევე საჯარო სახელმწიფო რესურსის გამოყენება პოლიტიკური დევნის ინსტრუმენტად კვლავ გრძელდება, 2021 წლის არჩევნების დროს არაერთი მათი თანაპარტიელი იქნა დათხოვნილი სამსახურიდან, ალექსანდრე დავითაძე პარტიის აქტიური წევრია, რომლის მეუღლის გათავისუფლებას ითხოვდნენ, თუმცა არ დატოვა სამსახური. დღეს რეორგანიზაციის დროს ათავისუფლებენ აღნიშნულ პიროვნებას. ამასთანავე ბათუმის ავტოტრანსპორტში დისკრიმინაციული მოპყრობაა თანამშრომელთა მიმართ, ადამიანები რომლების ასრულებენ ერთნაირ სამუშაოს ეძლევათ სხვადასხვა ხელფასები. მან საკრებულოში იმუშავა წლების განმავლობაში

და მას არ ახსოვს, რომ სხდომებს არ ესწრებოდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი და მოადგილეები. დღეს არცერთი პოლიტიკური თანამდებობის პირები არ ესწრებიან სხდომას, რაც არის საკრებულოს უპატივცემულობა.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების სხდომაზე დასწრება.

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ ისაუბრა ინფრასტრუქტურულ პრობლემებზე, კერძოდ: ქალაქი ბათუმი არ არის ორიენტირებული ფეხით მოსიარულეებზე, ტროტუარები არის საშინელ მდგომარეობაში, ამოყრილია ფილები, ველობილიკები არის დაბზარული, სანაგვე ურნებთან გავლა არის შეუძლებელი, არ არის ადაპტირებული გადასასვლელები. გამომდინარე აქედან სხდომას უნდა ესწრებოდეს პოლიტიკური თანამდებობის პირები პასუხის გასაცემად.

საკრებულოს წევრმა, ნატალია ზოიძემ განაცხადა, რომ სოციალურად დაუცველების მდგომარეობა ბუნებრივია ყველას ტკივილია. შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ 5000 ბენეფიციარი იყო აღრიცხული სოციალურ ბაზაში, მაგრამ უფასო სასადილოს სარგებლობის უფლება 800 ბენეფიციარს ჰქონდა. წარმატებულ მუშაობად ჩათვლის მაშინ, სანამ ერთი ბენეფიციარიც არ ეყოლება ქალაქს სოციალურად დაუცველი. პრემიერის ინიციატივა იყო ამ ადამიანების დასაქმების პროგრამა, რომლებსაც არ შეეზღუდებათ შემოსავლის დაფიქსირება. დღეს ეს ადამიანები დასაქმებული არიან.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის პროგრამები აქვს მუნიციპალიტეტს. ბედნიერი იქნება, როცა სოციალურად დაუცველი ოჯახი საქართველოში არ იქნება.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე – ანგისის ქუჩაზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავყარაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ პრო-ექტის მიღების მიზეზი და მიზანია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე და საცობის თავიდან აცილების მიზნით დაიგეგმოს ცალმხრივი მოძრაობა ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის ანგისის ქუჩაზე.

აზრი

გამოთქვეს:

საკრებულოს წევრი, თეონა ბერიძე მიესალმა აღნიშნულ გადაწყვეტილებას, რადგან წლების განმავლობაში საცობები იქმნებოდა. გარდა ამისა მნიშვნელოვნად მოაწესრიგებს აღმაშენებლის ქუჩაზე წრიულთან მოძრაობას და შეამცირებს რისკებს ქვეითად გადამსვლელთა მიმართ.

საკრებულოს წევრები, ნოდარ დუმბაძე და რევაზ ხარაზი ითხოვდნენ აღნიშნულ საკითხზე დარგის სპეციალისტების მოსაზრებას.

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ ქუჩის გაცამხრივება კარგია, თუმცა წარმოდგენილი საკითხი არ არის ერთიანი სატრანსპორტო პოლიტიკის ნაწილი, არ არის გათვლილი მოსალოდნელი შედეგები.

საკრებულოს წევრმა, ვაჟა დარჩიამ აღნიშნა, რომ საზოგადოებას ბევრი კითხვა აქვს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის კუთხით და სატრანსპორტო პოლიტიკასთან ქალაქის ირგვლივ დასასმელი. ამ კუთხით მოწვეული იქნას პასუხისმგებელი პირები მსჯელობისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 26

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 24 (რ. ჯინჭარაძე, ი. თავდგირიძე, ნ. ზოიძე, ზ. ნაკაიძე, მ. გოგუაძე, დ. მახარაძე, ლ. ცხომე, გ. მგელაძე, ნ. ცინცაძე, თ. აფხაზავა, ა. ბალაძე, რ. სირაბიძე, რ. ხალვაში, ნ. ცხვარაძე, ლ. ბერიძე, გ. ლომთათიძე, ლ. დოლიძე, თ. ბერიძე, ნ. მიძიგური, ვ. დარჩია, ა. ვარშალომიძე, რ. ხარაზი, ნ. ფუტყარაძე, ნ. დუმბაძე)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 2 (თ. კავაზაშვილი, ა. გვიანიძე)

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე – მარუხის ქუჩაზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჭარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიღების მიზეზი და მიზანია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე და საცობის თავიდან აცილების მიზნით დაიგეგმოს ცალმხრივი მოძრაობა ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მარუხის ქუჩაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 25

არ ესწრებოდა: 1(რ. ხარაზი)

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 24 (რ. ჯინჭარაძე, ი. თავდგირიძე, ნ. ზოიძე, ზ. ნაკაიძე, მ. გოგუაძე, დ. მახარაძე, ლ. ცხომიძე, გ. მეგლაძე, ნ. ცინცაძე, თ. აფხაზავა, ა. ბალაძე, რ. სირაბიძე, რ. ხალვაში, ნ. ცხვარაძე, ლ. ბერიძე, გ. ლომთათიძე, ლ. დოლიძე, თ. ბერიძე, ნ. ძიმიგური, ვ. დარჩია, ა. ვარშალომიძე, რ. ხარაზი, ნ. ფუტყარაძე, ნ. დუმბაძე)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 1 (ა. გვიანძე)

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მუნიციპალური ავტობუსების N6 და N14 სამარშრუტო ხაზების მოძრაობის სქემაში შევიდა ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებები სრულად აკმაყოფილებს და მორგებულია მგზავრების მოთხოვნებზე.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 26

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26 (რ. ჯინჭარაძე, ი. თავდგირიძე, ნ. ზოიძე, ზ. ნაკაიძე, მ. გოგუაძე, დ. მახარაძე, ლ. ცხიძე, გ. მგელაძე, ნ. ცინცაძე, თ. აფხაზავა, ა. ბალაძე, რ. სირაზიძე, რ. ხალვაში, ნ. ცხვარაძე, ლ. ბერიძე, გ. ლომთათიძე, ლ. დოლიძე, თ. ბერიძე, ნ. ძიძიგური, ვ. დარჩია, ა. ვარშალომიძე, რ. ხარაზი, ნ. ფუტკარაძე, ნ. დუმბაძე, ა. გვიანიძე, თ. კავაზაშვილი)

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 4. „ბავშვზე მორგებული ქალაქის ინიციატივის (CFCI) განხორციელების 2022-2025 წლების სტრატეგიისა და 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს:ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი - სოფიო მიქელაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტსა და გაეროს ბავშვთა ფონდს (UNICEF) შორის 2020 წლის 03 დეკემბერს გაფორმდა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ ბავშვზე მორგებული ქალაქების ინიციატივაში მონაწილეობის შესახებ“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია მხარეთა შორის თანამშრომლობა იმისათვის, რომ ბათუმი გახდეს იუნისეფის ბავშვზე მორგებული ქალაქების ინიციატივის ნაწილი, მემორანდუმი ითვალისწინებს მხარეთა თანამშრომლობას ბავშვზე მორგებული ქალაქის სტრატეგიული ჩარჩოს და ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად. 2021 წლის პირველ კვარტალში იუნისეფმა ჩაატარა ბათუმის მუნიციპალიტეტში ბავშვთა უფლებებისა და კეთილდღეობის მხრივ არსებული ვითარების ანალიზი, რისთვისაც შეხვედრები გამართა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების და მუნიციპალური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ასევე სხვა ფოკუს

ჯგუფებთან, მათ შორის სხვა საჯარო უწყებებთანაც. კვლევის შედეგების თანახმად, მუნიციპალიტეტში არსებობს ბავშვთა უფლებების დაცვა-განხორციელებისა და ბავშვების კეთილდღეობის გაძლიერების ხელშემწყობი არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა, თუმცა არსებობს რიგი გამოწვევები, რომლებიც საჭიროებს რეაგირებას, რათა ქალაქმა შეძლოს აღნიშნული ინიციატივის მონაწილედ გახდომა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2021 წლის 4 აპრილს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შეიქმნა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის UNICEF-ის ბავშვზე მორგებული ქალაქის ინიციატივაზე მიერთების“ სამუშაო ჯგუფი, რომელმაც იუნისეფის წარმომადგენლების ჩართულობით შეიმუშავა ბავშვზე მორგებული ქალაქის ინიციატივის განხორციელების 2022-2025 წლების სტრატეგია, რომელიც გულისხმობს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის პრინციპებისა და მიდგომების ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში დანერგვით ხელი შეუწყოს ქ. ბათუმში ბავშვისათვის უსაფრთხო, ჯანსაღი და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნას.

აღნიშნული სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში ბავშვის მიმართ მეგობრული გარემოს შექმნას, სადაც:

- ბავშვები არიან დაცული ექსპლუატაციის, ძალადობის და ჩაგვრისგან;
- იზრდებიან ჯანმრთელები, მზრუნველ გარემოში;
- აქვთ წვდომა საბაზისო სერვისებზე;
- იღებენ ინკლუზიურ, მონაწილეობით და ხარისხიან განათლებას და იძენენ შესაბამის უნარებს;
- გამოხატავენ საკუთარ აზრს და ახდენენ გავლენას იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მათ ეხება;
- მონაწილეობენ საოჯახო, სათემო/საზოგადოებრივ კულტურულ და სოციალურ ცხოვრებაში;
- ცხოვრობენ სუფთა, დაუბინძურებელ და უსაფრთხო გარემოში, აქვთ წვდომა მწვანე სივრცეებზე;
- აქვთ უსაფრთხო და ასაკის შესაბამისი გარემო თამაშისა და დასვენებისთვის და მეგობრებთან შესახვედრად;
- აქვთ თანაბარი შანსი განვითარებისთვის, მიუხედავად ეთნიკური წარმომადგენლობისა, რწმენისა, შემოსავლისა, სქესისა და ფიზიკური შესაძლებლობებისა.

ასევე შემუშავებული იქნა ბავშვზე მორგებული ქალაქის 2022 წლის სამოქმედო გეგმა.

აზრი

გამოთქვებს:

საკრებულოს წევრმა, ნატალია მიძიგურმა აღნიშნა, რომ ბავშვზე მორგებული ქალაქის შემუშავება და დამტკიცება კარგი ინიციატივაა. ამდენად, აქტიურად უნდა ჩაერთონ ახალგაზრდები ყველა გადაწყვეტილების მიღებაში. მან წამოაყენა ინიციატივა ახალგაზრდული საბჭოს შექმნის შესახებ, რათა მეტი ახალგაზრდა ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საკრებულოს წევრმა, ნაზი ფუტკარაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ინიციატივა კარგია, რათა ბავშვების ჯანსაღ მომავალზე უნდა ვიზრუნოთ. სკოლებს თუ მივამაგრებთ ავტობუსებს და ასევე, ერთჯერადი კვების

საშუალება თუ გამოინახება მცირე შემოსავლიანი ოჯახების ბავშვებზე მისასალმებელი იქნება.

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ განაცხადა, რომ ჯანდაცვის სამსახური იმსახურებს პატივისცემას და მადლობა გადაუხადა გაწეული მუშაობისათვის. წარმოდგენილი დოკუმენტი წინგადადგმული ნაბიჯია ქუჩაში მყოფ მოწყალეების მთხოვნელი ბავშვების უსაფრთხოებასთან და მათე პრაქტიკის აღკვეთასთან დაკავშირებით. დღესაც, ქუჩაში ბევრი ბავშვის უფლება ირღვევა. ისინი, მოწყალეების სათხოვნელად არის ქუჩაში გასულნი. ამიტომ, უმოკლეს ვადებში უნდა მოხდეს რეაგირება. ქალაქ ბათუმის მერთან არსებობს ახალგაზრდული საბჭო და კარგი იქნება მჭიდრო კომუნიკაციაში ითანამშრომლოს საკრებულოსთან. ასევე, ბათუმის საკრებულოსაც უნდა ჰყავდეს ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო, რათა უფრო მეტი ახალგაზრდის ჩართულობა უზრუნველვყოს. დოკუმენტი მომზადებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით და გათვალისწინებულია აუცილებელი ღონისძიებები, რაც გააუმჯობესებს ბავშვების მდგომარეობას.

საკრებულოს წევრმა, რიჩარდ სირაბიძემ აღნიშნა, რომ მსგავს პროექტთან ახალგაზრდული საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით ჰქონდა კომუნიკაციები საკრებულოს თავმჯდომარესთან, რომელიც მომავალში შეიქმნება.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 26

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26 (რ. ჯინჭარაძე, ი. თავდგირიძე, ნ. ზოიძე, ზ. ნაკაძე, მ. გოგუაძე, დ. მახარაძე, ლ. ცხიძე, გ. მგელაძე, ნ. ცინცაძე, თ. აფხაზავა, ა. ბალაძე, რ. სირაბიძე, რ. ხალვაში, ნ. ცხვარაძე, ლ. ბერიძე, გ. ლომთათიძე, ლ. დოლიძე, თ. ბერიძე, ნ. მიძიგური, ვ. დარჩია, ა. ვარშალომიძე, რ. ხარაზი, ნ. ფუტკარაძე, ნ. დუმბაძე, ა. გვიანიძე, თ. კავაზაშვილი)

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მთისმინეს:

საკითხი 5. „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ ფარგლებში პროგრამაში მონაწილე პირველ და მეორე ეტაპზე უკვე ჩატარებული კვლევების შედეგად მინიჭებული 40 000 ქულიანი ოჯახებისათვის საცხოვრებლის გადაცემის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულებით დამტკიცებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამის „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი“ ქვეპროგრამით „საცხოვრებელი სახლების მშენებლობა“ გათვალისწინებული საცხოვრებელი სახლით („ხელმისაწვდომი საცხოვრისით“) სარგებლობის კრიტერიუმები და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტი, რომელიც ითვალისწინებს დამტკიცებული კრიტერიუმების საფუძველზე შერჩეული ოჯახებისათვის იზოლირებული, კეთილმოწყობილი ბინის, მისი თვითღირებულების 15 წლის განმავლობაში გადახდის სანაცვლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას.

ხსენებული პროგრამის ფარგლებში ორ ეტაპად განხორციელდა 80 ბენეფიციარის შერჩევა და დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად საცხოვრებლის გადაცემა. საცხოვრებლის გადაცემა საბოლოოდ ხორციელდება ბენეფიციარისათვის (აპლიკანტი ოჯახისათვის) მინიჭებული სარეიტინგო ქულის მიხედვით. ბენეფიციართა შერჩევის პროცესში გამოიკვეთა ის გარემოება, რომ ორივე ეტაპის განხორციელებისას ოჯახებს, რომლებსაც გადაეცათ საცხოვრებელი ბინები ჰქონდათ ძირითადად 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ან მეტი სარეიტინგო ქულა. ამასთან, 25 (ოცდახუთი) ოჯახს მინიჭებული ქონდა 40 000 (ორმოცი ათასი) სარეიტინგო ქულა, თუმცა ამ ოჯახებთან ბინა გადაეცა მხოლოდ 5 (ხუთ) ოჯახს დამატებითი კრიტერიუმების გათვალისწინებით (მარტოხელა დედა იძულებით გადაადგილებული პირის ოჯახი, ან/და სხვა), ხოლო დარჩენილი ოჯახები, რომლებიც სრულად აკმაყოფილებენ პროგრამით დამტკიცებულ კრიტერიუმებს და მინიჭებული ქულების მიხედვით წარმოადგენენ მაღალი საჭიროების მქონე კატეგორიას, ვერ იქნენ დაკმაყოფილებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი კვადრატობის ფართის მქონე ბინების შეზღუდული რაოდენობის გამო.

იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ მიზანია ბათუმში დამკვიდრებული იმ ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა, რომელთაც საკუთრებაში არ გააჩნიათ საცხოვრებელი, თუმცა აქვთ სტაბილური შემოსავალი, ზომიერ ფასად შეუძლიათ იქირაონ საცხოვრებელი, შეუფერხებლად გადაიხადონ საცხოვრებელი ქირა და კომუნალური (ან სხვა) გადასახადები, ასეთი ოჯახები, რომლებსაც პროგრამის პირველ და მეორე ეტაპზე უკვე ჩატარებული კვლევების შედეგად მინიჭებული აქვს 40 000 (ორმოცი ათასი) სარეიტინგო ქულა,

სრულად აკმაყოფილებენ პროგრამით დამტკიცებულ კრიტერიუმებს და ისინი მინიჭებული ქულების მიხედვით უპირატესად იმსახურებენ „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი ბინების გადაცემას.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის პირველ და მეორე ეტაპზე უკვე ჩატარებული კვლევების შედეგად მინიჭებული 40 000 (ორმოცი ათასი) სარეიტინგო ქულების მიხედვით შერჩეული აპლიკანტების მიერ წარმოდგენილი იქნება სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ინფორმაცია/ცნობა შემოსავლების შესახებ არანაკლებ სარგებლობაში გადაცემის დროისათვის უკანასკნელი ერთი წლის პერიოდის შესახებ (რომელითაც დგინდება დაწესებული ქირის ოდენობის გადამხდელუნარიანობა), ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 21 თებერვლის №165 ბრძანების საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის, აგრეთვე ელექტრონული ბაზის მიხედვით სხვა კრიტერიუმების გადამოწმება, განხილვა და კრების ოქმის საფუძველზე ქულების შენარჩუნება ან/და უარყოფა. აგრეთვე, ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადაგზავნა მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“-ს განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 21 თებერვლის №165 ბრძანების მე-11 პუნქტის შესაბამისად შექმნილი კომისიის სხდომაზე განხილვის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 24

არ ესწრებოდა - 2 (თ. აფხაზავა, ნ. დუმბაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22 (რ. ჯინჭარაძე, ი. თავდგირიძე, ნ. ზოიძე, ზ. ნაკაიძე, მ. გოგუაძე, დ. მახარაძე, ლ. ცხოიძე, გ. მგელაძე, ნ. ცინცაძე, ა. ბალაძე, რ. სირაზიძე, რ. ხალვაში, ნ. ცხვარაძე, ლ. ბერიძე, გ. ლომთათიძე, ლ. დოლიძე, თ. ბერიძე, ნ. ძიმიჯური, ვ. დარჩია, ნ. ფუტყარაძე, თ. კავაზაშვილი, ა. გვიანაძე)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 2 (ა. ვარშალომიძე, რ. ხარაზი)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით განსაკარგი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების 1 კვმ-ს საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ქ.ბათუმში, სხვადასხვა ლოკაციაზე სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით განკარგული აქვს სხვადასხვა დანიშნულების საქმიანობის განხორციელების მიზნით (ჯიხურები) მიწის ნაკვეთები. დღეის მდგომარეობით წარმოდგენილია განცხადებები სხვადასხვა ადგილებზე მიწის ნაკვეთების სარგებლობაში გადაცემის თაობაზე. შესაბამისად უნდა განსაზღვროს მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის საწყისი სარგებლობის საფასური.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2022 წლის 14 სექტემბრის №006345322 დასკვნის თანახმად ქ. ბათუმში, მელიქიშვილისა და რუსთაველის ქუჩების კვეთაში არსებული 2183 კვმ-დან (ს/კ 05.23.06.017) 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 2758.3 ლარს, 5% - 137.9 ლარი, 2022 წლის 14 სექტემბრის №006345622 დასკვნის თანახმად ქ. ბათუმში, დემეტრე თავდადებულისა და მარჯანიშვილის ქუჩების კვეთაში არსებული 329 კვმ დან (ს/კ 05.22.24.415) 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 2639,1 ლარს, 5% - 131,9 ლარი, 2022 წლის 14 სექტემბრის №006345822 დასკვნის თანახმად ქ. ბათუმში, კ.გამსახურდიას ქუჩაზე არსებული 216 კვმ დან (ს/კ 05.22.33.032) 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 2639,1 ლარს, 5% - 131,9 ლარი, 2022 წლის 14 სექტემბრის №006345122 დასკვნის თანახმად ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქუჩაზე არსებული 361 კვმ-დან (ს/კ 05.23.04.649) 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 2917,2 ლარს, 5% - 145,8 ლარი, 2022 წლის 14 სექტემბრის №006346322 დასკვნის თანახმად ქ.ბათუმში,ზურაბ გორგილაძისა და ლერმონტოვის ქუჩების კვეთაში არსებული 706 კვმ დან (ს/კ 05.23.08.021) 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 2508,6 ლარს, 5% - 125,4 ლარი, 2022 წლის 14 სექტემბრის №006346422 დასკვნის თანახმად ქ.ბათუმში,ზურაბ გორგილაძისა და ლერმონტოვის ქუჩების კვეთაში არსებული 256 კვმ დან (ს/კ 05.23.08.020) 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 2508,6 ლარს, 5% - 125,4 ლარი, 2022 წლის 14 სექტემბრის №006346622 დასკვნის თანახმად ქ.ბათუმში ზურაბ გორგილაძის და ლერმონტოვის ქუჩების კვეთაში არსებული 110 კვმ დან (ს/კ 05.23.07.030) 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 2508,6 ლარს, 5% - 125,4 ლარი, 2022 წლის 14 სექტემბრის №006346822 დასკვნის თანახმად ქ.ბათუმში ზურაბ გორგილაძისა და თაყაიშვილის ქუჩების კვეთაზე ტროტუარის ნაწილი არსებული 298 კვმ დან (ს/კ 05.23.09.020) 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 2508,6 ლარს, 5% - 125,4 ლარი, 2022 წლის 14 სექტემბრის №006347022 დასკვნის თანახმად ქ. ბათუმში აკაკი წერეთლის ქუჩაზე არსებული 251 კვმ დან (ს/კ 05.28.06.020) 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 1929.7 ლარს, 5% - 96,4 ლარი და 2022 წლის 14 სექტემბრის №006347322 დასკვნის თანახმად ქ. ბათუმში ჭავჭავაძისა და ვაჟა ფშაველას ქუჩების კვეთაში არსებული 805 კვმ დან (ს/კ 05.22.49.022) 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 1881.4 ლარს, 5% - 94,07 ლარი.

ქ. ბათუმში, ბაქოს ქუჩაზე არსებული 05.21.21.037 კოდით რეგისტრირებული 21 კვმ დან 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული იქნა მიმდებარედ არსებული 05.21.21.035 კვმ მიწის ნაკვეთის შეფასება (სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო დასკვნა №008138521, 21.11.2021წ), სადაც 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 3157

ლარს, 5% - 157,85 ლარი. ქ. ბათუმში, მარჯანიშვილის/ერას/დ. თავდადებულის და ლ. ასათიანის ქუჩაზე არსებული 05.22.24.414 კოდით რეგისტრირებული 21 კვმ დან 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული იქნა მიმდებარედ არსებული 05.21.21.009 კვმ მიწის ნაკვეთის შეფასება (სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო დასკვნა №008312721, 30.11.2021წ), სადაც 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 2254 ლარს, 5% - 112,7 ლარი. ქ. ბათუმში „ბათუმის ცენტრალური პარკი“-ში მდებარე 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული იქნა მიმდებარედ არსებული 05.23.06.010 კოდით რეგისტრირებული მიწის შეფასება (სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო დასკვნა №003688121, 01.06.2021წ), სადაც 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 3017 ლარს, 5% - 150,85 ლარი. ქ. ბათუმში „ბათუმის ცენტრალური პარკი“-ში მდებარე 05.23.06.011 კოდით რეგისტრირებული 1 კვმ მიწის სარგებლობის ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული იქნა მიმდებარედ არსებული 05.23.06.010 კოდით რეგისტრირებული მიწის შეფასება (სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო დასკვნა №003688121, 01.06.2021წ), სადაც 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 3017 ლარს, 5% - 150,85 ლარი და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2022 წლის 21 სექტემბრის №006562922 დასკვნის თანახმად ქ. ბათუმში დაბა ხელვაჩაურში 05.35.24.884 კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის 1 კვმ საბაზრო ღირებულება შეადგენს 44 ლარს, 5% - 22,2 ლარი. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოთაღნიშნული მიწის ნაკვეთების 1 კვ.მ.-ს საწყისი წლიური სარგებლობის საფსური განისაზღვროს თანახმად დანართისა.

აზრი

გამოთქვებს:

საკრებულოს წევრმა, ნატალია მიძიგურმა დასვა კითხვა ხელშეკრულების ვადასთან დაკავშირებით, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ სარგებლობის წესში შემუშავებულია თუ ქალაქის რომელ მხარეს, რომელ ქუჩაზე, ტროტუარზე რა სახის ჯიხური/ობიექტი შეიძლება განთავსდეს. აუქციონი გამოცხადდება და გამარჯვებული წარმოადგენს დოკუმენტს.

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი პრობლემური იყო ქალაქში. ნებართვის მიღება ჭიანურდება თვეების განმავლობაში და დასვა კითხვა, თუ როდის შეიძლება გახდეს აღნიშნული სერვისი ღია, საჯარო და ყველასთვის გასაგები წესებითა და პირობებით. ასევე, რამდენიმე წლის წინ, წერეთლის ქუჩაზე სპეცოპერაცია ჩატარდა უკანონო გარე ვაჭრობის აღკვეთასთან დაკავშირებით. დღეს, კვლავ იგივე მდგომარეობაა. წარმოდგენილი საკითხი არ არის ერთიანი პოლიტიკის ნაწილი, პროცესი არ არის გამჭვირვალე, რაც ქმნის კორუფციის რისკებს.

საკრებულოს წევრმა, თეონა ბერიძემ განაცხადა, რომ ვიზუალური მხარე აუცილებელია აუქციონისათვის. მომზადების პერიოდში გათვალისწინებულია კომუნი-

კაციის ხელმისაწვდომობაც, თუ რამდენად არის საჭირო წერტის ფუნქციონირებისათვის და აგრეთვე ჰიგიენური ნორმების დაცვისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 25

არ ესწრებოდა - 1 (ნ. დუმბაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22 (რ. ჯინჭარაძე, ი. თავდგირიძე, ნ. ზოიძე, ზ. ნაკაიძე, მ. გოგუაძე, დ. მახარაძე, ლ. ცხიძე, გ. მგელაძე, ნ. ცინცაძე, ა. ბალაძე, რ. სირაზიძე, რ. ხალვაში, ნ. ცხვარაძე, ლ. ბერიძე, თ. აფხაზავა, გ.ლომთათიძე, ლ. დოლიძე, თ. ბერიძე, ნ. ძიძიგური, ვ. დარჩია, თ.კავაზაშვილი, ა.გვიანაძე)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 3 (ა. ვარშალომიძე, რ. ხარაზი, ნ. ფუტყარაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, გორგილამის ქუჩა N91-ის მიმდებარედ არსებული 19,0 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით (№19/1422207326-14; 26.07.2022წ.) მომართა გულნაზ ბოლქვაძე-ხარაზიმ, რომლითაც ითხოვს მის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, გორგილამის ქუჩა N91-ში მდებარე 84,0 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის და 62,61 კვ.მ. ანტრესოლის (ს/კ 05.23.12.006.01.507) წინ არსებული, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.23.12.043) იჯარით აღებას. ხსენებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე განმცხადებელი გამოთქვამს სურვილს განათავსოს მსუბუქი კონსტრუქციის (რკინის კონსტრუქცია და მინა) ნაგებობა, მისი კუთვნილი კომერციული ფართის გაფართოვების მიზნით.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და

მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება უსასყიდლოდ.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაკმაყოფილდეს გულნაზ ბოლქვაძე-ხარაზის განცხადება და მის საკუთრებაში არსებულ მოქმედ ობიექტთან ფუნქციურად დაკავშირებული სივრცის გამოყენების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით, 10 წლის ვადით, იჯარით სარგებლობაში გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, გორგილაძის ქუჩა N91-ის მიმდებარედ არსებული 19,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.23.12.043). მიწის ნაკვეთის ნაკვეთის წლიური სარგებლობის საფასურის განისაზღვრისას გამოყენებული იქნას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს ექსპერტიზის დასკვნა (N°005593322; 15.08.2022წ.), რომლის თანახმად მიმდებარედ არსებული (ს.კ. 05.23.12.049) მიწის ნაკვეთის 1 კვ.მ.-ს საპრივატიზებო ღირებულება შეადგენს 2589,7 ლარს; საიჯარო 1კვმ - 5%-129,5 ლარს; სიჯარო 19 კვმ-ს = 2460,5 ლარს. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ 19 კვმ მიწის ნაკვეთზე სარგებლობის საფასური განისაზღვროს 3 000,0 (სამი ათასი) ლარის ოდენობით და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი კომერციულ საქმიანობაში გამოყენების მიზნით, იჯარით სარგებლობაში გადაიცეს.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 26

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26 (რ. ჯინჭარაძე, ი. თავდგირიძე, ნ. ზოიძე, ზ. ნაკაიძე, მ. გოგუაძე, დ. მახარაძე, ლ. ცხოიძე, გ. მგელაძე, ნ. ცინცაძე, ა. ბალაძე, რ. სირაზიძე, რ. ხალვაში, ნ. ცხვარაძე, ლ. ბერიძე, თ. აფხაზავა, გ. ლომთათიძე, ლ. დოლიძე, თ. ბერიძე, ნ. ძიძიგური, ვ. დარჩია, თ. კავაზაშვილი, ა. ვარშალომიძე, ა. გვიანიძე, რ. ხარაზი, ნ. ფუტკარაძე, ნ. დუმბაძე)

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **საკითხი 8.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (კორექტირებული).

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე, ასევე ქალაქ ბათუმის მუნიციპალი-ტეტის მერიის ინიციატივით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი/მოძრავი ქონებების (მიწის ნაკვეთები) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანას, შემდგომი განკარგვის მიზნით.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ საპრივატიზებო ნუსხაში შეტანილია სატრანსპორტო საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილია სატრანსპორტო საშუალება ავტომანქანა (მარკა-BMW, მოდელი 520 I), რომელიც საკრებულოს საკუთრება იყო და 2014 წლიდან მწყობრიდან გამოსულია. ამგვარი ქონებების გაყიდვას წლები არ უნდა სჭირდებოდეს და დროულად თუ გასხვისდება გაცილებით მეტი შემოსავალი ექნება მუნიციპალიტეტს.

საკრებულოს წევრმა, რევაზ ხარაზმა დასვა კითხვა მეორეული ფილების კავდრატულობის რაოდენობის შესახებ, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ზუსტი რაოდენობა ცნობილი არ არის, რადგან ეს წარმოადგენს მეორეულ ფილებს, რომლის ამოღება მოხდა ტექნიკის საშუალებით საწყობში შესანახად, თუმცა შესაბამისი სპეციალისტების მიერ ქონების ნაწილი აღწერილია. შესაბამისად საკრებულოს წევრმა, რევაზ ხარაზმა მოითხოვა აუდიტის სამსახურის მიერ აღნიშნული სახელმწიფო ქონების შესწავლა.

საკრებულოს წევრი, თენგიზ აფხაზავა კოლეგების მიერ დასმულ საკითხებს ეთანხმება და მხარს უჭერს,

რადგან აუცილებელია ჩატარდეს ინვენტარიზაცია.

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ 2018 წელს შეიქმნა მუნიციპალური სააგენტო, რომელსაც ჩაეწერა ერთ-ერთ ფუნქციად მუნიციპალური ქონების აღწერა, თუმცა გამოცხადებული ტენდერი ჩაიშალა, შესაბამისად 2018 და არც 2022 წელსაც არ განხორციელებულა. მან დასვა კითხვა მუნიციპალური ქონების აღწერის პერიოდის შესახებ.

საკრებულოს წევრმა, თენგიზ აფხაზავამ განმარტა, რომ 2015 წელს მომზადდა აქტივების რუკის პროექტი, რომელიც დღესაც არის მოქმედი, სადაც წერია მუნიციპალიტეტის ქონების შესახებ წლების მიხედვით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შესაბამისი სპეციალისტების მიერ ქონების ნაწილი მუშავდება და აღწერილია.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 26

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24 (რ. ჯინჭარაძე, ი. თავდგირიძე, ნ. ზოიძე, ზ. ნაკაიძე, მ. გოგუაძე, დ. მახარაძე, ლ. ცხომე, გ. მგელაძე, ნ. ცინცაძე, ა. ბალაძე, რ. სირაბიძე, რ. ხალვაში, ნ. ცხვარაძე, ლ. ბერიძე, თ. აფხაზავა, გ. ლომთათიძე, ლ. დოლიძე, თ. ბერიძე, ნ. მიძიგური, ვ. დარჩია, თ. კავაზაშვილი, ა. გვიანიძე, ნ. ფუტყარაძე, ნ. დუმბაძე)

წინააღმდეგი - 1(რ. ხარაზი)

არ მიიღო მონაწილეობა - 1(ა. ვარშალომიძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 9. „ბათუმის ღამის თავშესაფარში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილების პროგრამული ღონისძიების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სხვადასხვა დროს ურეხის დროებით ღამის თავშესაფარში დროებითი საცხოვრისით დაკმაყოფილების მიზნით შესახლებული იქნა ექვსი ოჯახი. მუნიციპალიტეტის მიერ დაიგეგმა ურეხის დროებითი ღამის თავშესაფარის სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები, რისი განხორციელებაც აღნიშნული ექვსი ოჯახის ღამის თავშესაფრიდან გამოყვანის გარეშე შეუძლებელი იყო. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 18 აგვისტოს №14.14212305 ბრძანებით ქალაქ ბათუმში, ურეხის დროებით ღამის თავშესაფარში შესახლებული ექვსი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური და ქონებრივი მდგომარეობის შესწავლისა და არსებული პრობლემების გადაწყვეტის წინადადებების შემუშავების მიზნით შეიქმნა კომისია. აღნიშნული ბრძანებით მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს დაევალოთ უზრუნველყონ ურეხის დროებით ღამის თავშესაფარში მცხოვრები ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური და ქონებრივი მდგომარეობის მონაცემების შეგროვება, ხოლო კომისიას დაევალოს მოპოვებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის განხილვა და ურეხის დროებით ღამის თავშესაფარში მცხოვრები ოჯახების არსებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით შესაბამისი წინადადებების მომზადება. ურეხის დროებით ღამის თავშესაფარში მცხოვრები ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური და ქონებრივი მდგომარეობის შეგროვებული მონაცემების თანახმად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ სხვადასხვა დროს ქალაქ ბათუმის ღამის თავშესაფარის შენობის თავისუფალ ფართში შეასახლა ექვსი ოჯახი, რომლებიც ცხოვრობდნენ უსასყიდლოდ, ხოლო მათი კომუნალური ხარჯები იფარებოდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. აღნიშნული ოჯახები მიეკუთვნება სოციალურად დაუცველ კატეგორიას და მათი სარეიტინგო ქულაა 1000. აღნიშნული ოჯახების ბათუმის დროებითი თავშესაფარის შენობაში განთავსებით და მათზე ხარჯების გაწევით მერიამ განახორციელა მზრუნველობა მიუსაფარი ოჯახების მიმართ, მაგრამ ბუნებრივია მათი თავშესაფარში მუდმივად ცხოვრება შეუძლებელი იყო და საკითხი მოითხოვდა სრულყოფილ და საბოლოო გადაწყვეტას. მითუმეტეს, აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა იმ გარემოების გამო, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას დაგეგმილი ჰქონდა დროებითი ღამის თავშესაფარის შენობის სრული რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია, რისი განხორციელებაც ამ ოჯახების შენობიდან გამოყვანის გარეშე შეუძლებელი იყო. არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩაითვალა აღნიშნული ოჯახები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაყვანილი ყოფილიყო სხვა საცხოვრებელ ფართებში ქირით და პარალელურად შემუშავებულიყო მუნიციპალური პროგრამა ამ ოჯახების საცხოვრისით დაკმაყოფილების მიზნით, რაზედაც მუნიციპალიტეტსა და ოჯახებს შორის გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიჩნევს, რომ უნდა დამტკიცდეს ურეხის დროებით ღამის თავშესაფარში დროებითი საცხოვრისით დაკმაყოფილების მიზნით შესახლებული ექვსი ოჯახის საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის პროგრამული ღონისძიება და მის ფარგლებში ღამის თავშესაფარში მცხოვრები ოჯახები დაკმაყოფილდნენ საცხოვრებელი ბინებით. დამტკიცებული პროგრამული ღონისძიებიდან

გამომდინარე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალოს ბათუმის ღამის თავშესაფარში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილების მიზნით შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება (ბინების შერჩევა და სხვა). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ეთხოვოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიმართვის საფუძველზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის შესაბამისი პირობით საკუთრებაში გადაცემული ბინებიდან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართვით განსაზღვრული ბინების ბათუმის ღამის თავშესაფარში მცხოვრებ ოჯახებზე უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა წამოყენებულ ინიციატივას და აღნიშნა, რომ წლების განმავლობაში არსებობდა ეს პრობლემა. სასიხარულოა, რომ ექვსი ოჯახი დაკმაყოფილდება საცხოვრებელი ფართით.

საკრებულოს წევრმა, ნატალია ძიმიგურმა დასვა კითხვა 70 ბინადარზე გათვლილ თავშესაფარში მყოფების ბინადრობის თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ სხვადასხვა ადგილზე იქნებიან გადანაწილებული რეაბილიტაციის პროცესში.

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ კარგი ინიციატივაა, იქ მცხოვრები ადამიანები მართლაც იმსახურებენ მუნიციპალიტეტის დახმარებას. ასევე დასვა კითხვა ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სხვა უძრავ ქონებაში ამ ეტაპისათვის შესახლებულთა რაოდენობის თაობაზე და მოითხოვა შემდგომი სხდომისათვის ინფორმაციის გაცნობა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თუ ქალაქის საკუთრებაში წლების განმავლობაში ცხოვრობენ ოჯახები, ქონება გადაეცემა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, შემდგომში პროგრამის ფარგლებში ქალაქის საკუთრებაში მცხოვრებ მობინადრეებზე სიმბოლურ ფასად გადაცემის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 26

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26 (რ. ჯინჭარაძე, ი. თავდგირიძე, ნ. ზოიძე, ზ. ნაკაიძე, მ. გოგუაძე, დ. მახარაძე, ლ. ცხიძე, გ. მგელაძე, ნ. ცინცაძე, ა. ბალაძე, რ. სირაბიძე, რ. ხალვაში, ნ. ცხვარაძე, ლ. ბერიძე, თ. აფხაზავა, გ. ლომთათიძე, ლ. დოლიძე, თ. ბერიძე, ნ. ძიმიგური, ვ. დარჩია, თ. კავაზაშვილი, ა. ვარშალომიძე, ა. გვიანიძე, რ. ხარაზი, ნ. ფუტყარაძე, ნ. დუმბაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: საკითხი 10. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, მდ. ბარცხანას და მდ. ყოროლისწყალს შორის მდებარე 3445 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის N5704/02 (27.09.2022წ.) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ 2021 წლის 30 სექტემბერს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდ“-ს (ს/ნ: 445601126) შორის გაფორმდა სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდ“-ს, 65 წლის ვადით, სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩის მიმდებარე 891 258 და 551 965 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (საკადასტრო კოდები: ს/კ 05.30.38.035 და ს/კ 05.30.38.036).

მოქმედი ხელშეკრულების თანახმად, შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდს“ აღებული აქვს ვალდებულება, აღნაგობის საგანზე შექმნას ორი ხელოვნური ნახევარკუნძული და ერთი ხელოვნური კუნძული და მოაწყოს მათზე ინფრასტრუქტურა. აღნიშნულის შესრულების მიზნით, „კომპანია“ განახორციელებს არანაკლებ 100 000 000 (ასი მილიონი) აშშ დოლარის ინვესტიციას, ასევე, დაასაქმებს საქართველოს 2000-მდე (ორი ათასი) მოქალაქეს. 2022 წლის 26 ივლისს ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის დადგენილებაში „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“, რის შედეგადაც შავი ზღვის აკვატორიაში კუნძულებისა და ნახევარკუნძულების მოწყობის სამუშაოებს მიენიჭა განსაკუთრებული ობიექტის სტატუსი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ 2022 წლის 1 სექტემბერს გამოიცა ბრძანება № 150-04 ქალაქ ბათუმში, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩის მიმდებარე, შავი ზღვის აკვატორიაში ხელოვნური კუნძულის/ნახევარკუნძულის მოწყობასთან დაკავშირებულ ნაპირსამაგრ ჯებირზე განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ.

საინვესტიციო ტერიტორიის კონფიგურაცია განლაგებულია იმდაგვარად, რომ მასზე წვდომა შეუძლებელია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ს/კ 05.30.37.036 გავლის გარეშე. ამჟამად ამბასადორი ბათუმი აილენდი დგას უკიდურესი აუცილებლობის წინაშე სამშენებლო სამუშაოები აწარმოოს აღნიშნული ტერიტორიის გავლით.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას შესაძლებლად მიაჩნია, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ბათუმში, მდ. ბარცხანის და მდ. ყოროლისწყალს შორის მდებარე 3445 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - ს/კ 05.30.37.036 საკუთრებაში გადაეცეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, მისი შემდგომში ამბასადორი ბათუმი აილენდისთვის სიმბოლურ ფასად 1 ლარად სარგებლობის უფლებით გაცემის მიზნით 5 (ხუთი) წლის ვადით და ითხოვს აღნიშნულს.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი საინვესტიციო წინადადებების, მისი მასშტაბების გათვალისწინებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, მდ. ბარცხანას და მდ. ყოროლისწყალს შორის მდებარე 3445,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ №05.30.37.036) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემა შემდგომში მისი შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდ“-ისათვის (ს.ნ. 445601126) პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად 5 (ხუთი) წლის ვადით იჯარით სარგებლობაში გადასაცემად.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი საკითხია და მერიიდან პოლიტიკური თანამდებობის პირი არ ესწრება სხდომას. ბათუმის საკრებულომ არ იცის რა შენდება, რა ტიპის შენობა-ნაგებობა, უბრალოდ სტატიებიდან იგებენ ინფორმაციას აღნიშნულთან დაკავშირებით. ეს არის პროექტი, რომელიც გათავისუფლდა გარემოს ზემოქმედების კვლევისგან და მხოლოდ და მხოლოდ სკრინინგის 30 გვერდიანი ანგარიშია წარმოდგენილი, რაც არ იძლევა ამომწურავ პასუხებს და ინფორმაციას პროექტის ავტორიანობის შესახებ. არსებობს სერიოზული კითხვის ნიშნები, რომ იქ არის დალექილი ნავთობი, რომელიც წლების განმავლობაში ილექებოდა. ეს შეიძლება არ არის სიმართლე, გამომდინარე აქედან ხელოვნური კუნძული / ნახევარკუნძულის პროექტის შესახებ არ არის საკმარისი ინფორმაცია. ექსპერტების ნაწილი მიგვითითებენ რისკებზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული ტერიტორიის გადაცემა ხდება პირდაპირი გადაცემის წესით, ეს არის მხოლოდ დამაკავშირებელი და გზის სტატუსის გამოსაყენებლად, რომ კუნძულის მშენებლობისათვის მისასვლელი აუცილებელია.

საკრებულოს წევრი, თენგიზ აფხაზავა აკაკი გვიანიძეს ეთანხმება, რომ კარგი იქნებოდა გამართულიყო პრეზენტაცია. სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტი შენდება,

ეს არ არის მხოლოდ რეგიონალური მასშტაბის საინვესტიციო პროექტი, გერმანელი და ჰოლანდიელი ექსპერტების დასკვნები დევს.

საკრებულოს წევრმა, ნაზი ფუტკარაძემ აღნიშნა, რომ ბაქრადის ქუჩაზე ბარცხანის წყალი რომ მოედინება ნავთობის ნალექის გამო გარემოს დაცვა არ აძლევს საშუალებას და ამიტომ ვერ აწარმოებენ ნაპირსამაგრ სამუშაოებს ჩანგრეული ჯებირის აღდგენის საკითხთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრმა, ვაჟა დარჩიამ აღნიშნა, რომ კვალიფიციურ ხალხთან კონსულტაციების შედეგად გაირკვა, რომ ეს თანხა 100 მილიონი წარმოუდგენელია საკმარისი იყოს პროექტისთვის და მას ამ მიმართებით აქვს კითხვები. ჩართულობა და პრეზენტაცია არ ყოფილა და გროტესკული დამოკიდებულებაა პროექტის მიმართ. ის წარმოდგენილ საკითხს მხარს ვერ დაუჭერს.

საკრებულოს წევრი, აკაკი გვიანიძე მიესალმება ყველა პროექტის განხორციელებას, თუმცა დუბაიში სამი ასეთი პროექტი განხორციელდა, მაგრამ აქედან ორი გაჩერებულია და ერთი რომელიც ფუნქციონირებს ბევრი პრობლემაა, მათ შორის წყლის საშინელი სუნია გადინების გამო და მილიონებს ხარჯავენ პროექტის გადასარჩენად.

საკრებულოს წევრმა, ნატალია ზოიძემ განაცხადა, რომ მართებულია გაიმართოს პრეზენტაცია დეტალური ინფორმაციისთვის.

საკრებულოს წევრმა, ალექსანდრე ვარშალომიძემ აღნიშნა, რომ საამაყო პალმა-ჯუმეირა ქართველის დაპროექტებულია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ადამიანი ემიგრაციაში იმყოფება და ასეთ წარმატებულ ადამიანს ქვეყნიდან წასვლა უხდება. რაც შეეხება კუნძულს კარგი იქნება თუ აშენდება, თუმცა ქალაქი იტბორება, გამომდინარე აქედან ხელოვნური კუნძულიც დაიტბორება.

საკრებულოს წევრი, აკაკი გვიანიძე გამოთქვამს უკმაყოფილებას, რომ ვერ მიიღო დასმულ კითხვებზე პასუხები.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 26

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18 (რ. ჯინჭარაძე, ი. თავდგირიძე, ნ. ზოიძე, ზ. ნაკაიძე, მ. გოგუაძე, დ. მახარაძე, ლ. ცხომე, გ. მგელაძე, ნ. ცინცაძე, ა. ბალაძე, რ. სირაზიძე, რ. ხალვაში, ნ. ცხვარაძე, ლ. ბერიძე, თ. აფხაზავა, გ. ლომთათიძე, ლ. დოლიძე, თ. ბერიძე)

წინააღმდეგი - 7 (თ. კავაზაშვილი, ა. ვარშალომიძე, ა. გვიანიძე, რ. ხარაზი, ნ. ფუტყარაძე, ნ. დუმბაძე, ვ. დარჩია)

არ მიიღო მონაწილეობა - 1 (ნ. ძიმიგური)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა 15 წუთიანი შესვენება. სხდომა განახლდა 13⁴⁵ სთ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 11. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩა N47ა-ს მიმდებარედ არსებული 77 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის N5642/02 (N07-1422270335-14; 27.09.2022წ.) წერილი, იმის თაობაზე, რომ სს „ენერგოპრო ჯორჯიამ“ 2021 წლის 22 ოქტომბრის №01-01-09/10725 კორესპოდენციით მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომისკის სამინისტროს, რომელიშიც აღნიშნულია, რომ ქალაქ ბათუმში ახალი ობიექტის მშენებლობის შედეგად საჭირო ხდება ქსელის შესაბამისი განვითარება. მოცემულ ეტაპზე დამატებით სიმძლავრეების მობილიზება საჭიროა შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩაზე. ამიტომ, აუცილებლად მიაჩნიათ ახალი სატრანსფორმატოტრო პუნქტის მშენებლობა, რომელიც უზრუნველყოფს არსებული მომხმარებლებისათვის

ელექტრო ენერჯის მიწოდებას საიმედოობის გაზრდასა და ამავე ტერიტორიაზე ასაშენებელი ობიექტების ელექტროენერჯის მომარაგებას.

ამასთან, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ სატრანსფორმატორო პუნქტის განთავსების მიზნით ითხოვს ქალაქ ბათუმში შერიფ ხიმშიაშვილის ქ. №47ა-ს მიმდებარედ არსებული 77.00 კვ,მ მიწის ნაკვეთის (ს/კ № 05.32.12.267) პირდაპირი მიყიდვის წესით სიმბოლურ ფასად 1(ერთი) ლარადა საკუთრებაში გადაცემას, იმ პირობით, რომ ხელშეკრულების გაფორმებიდან 12(თორმეტი) თვის ვადაში აღნიშნულ ნაკვეთზე უზრუნველყოფს სატრანსფორმატორო პუნქტის განთავსება, ხოლო ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში განახორციელებს საპრივატიზებო ღირებულების გადახდას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული ზემოხსენებული ქონება.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ითხოვს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა №47ა-ს მიმდებარედ არსებული 77.00 კვმ მიწის ნაკვეთი (ს/კ №05.32.12.267)

მომხსენებელმა წამოაყენა წინადადება წარმოდგენილ პროექტში ცვლილების შეტანის თაობაზე, კერძოდ: ამოღებულ იქნეს მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტიდან წინადადება: „იმ პირობით, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მისი საბაზრო ღირებულება - 109 772 (ას ცხრა ათას შვიდას სამოცდათორმეტი) ლარი, სს „ენერგო პრო ჯორჯია“-ს მიერ ჩაერიცხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს ბიუჯეტში“ და მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტიდან წინადადება: „და საბაზრო ღირებულების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს ბიუჯეტში ჩარიცხვა“.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 26

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26 (რ. ჯინჭარაძე, ი. თავდგირიძე, ნ. ზოიძე, ზ. ნაკაიძე, მ. გოგუაძე, დ. მახარაძე, ლ. ცხომე, გ. მგელაძე, ნ. ცინცაძე, ა. ბალაძე, რ. სირაბიძე, რ. ხალვაში, ნ. ცხვარაძე, ლ. ბერიძე, თ. აფხაზავა, გ. ლომთათიძე, ლ. დოლიძე, თ. ბერიძე, ნ. ძიძიგური, ვ. დარჩია, თ. კავაზაშვილი, ა. ვარშალომიძე, ა. გვიანიძე, რ. ხარაზი, ნ. ფუტკარაძე, ნ. დუმბაძე)

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **საკითხი 12.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, შავშეთის ქ. N26-ში, I სართულზე მდებარე ფართის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (39,28 კვ.მეტრი ფართი).

(მომხს:ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კობინაძე

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2022 წლის 27 სექტემბრის N5667/02 (N07-1422270579-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2013 წლის 14 ნოემბრის N285 ბრძანებით შექმნილი „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ 2019 წლის 08 ნოემბრის N25 ოქმის თანახმად დაისვა საკითხი ქალაქ ბათუმის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული ქალაქ ბათუმში, შავშეთის ქ. N26-ში, მდებარე უძრავ ქონებაში N04/1 შენობის პირველ სართულზე არსებული 39,28 კვ.მეტრი ფართის (ს.კ. 05.28.31.031.01.508) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრაციისათვის საჭირო, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ. შემდგომში, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

ამასთან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა. შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოეცეს ზემოხსენებული ქონება შემდგომში, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 26

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 26 (რ. ჯინჭარაძე, ი. თავდგირიძე, ნ. ზოიძე, ზ. ნაკაიძე, მ. გოგუაძე, დ. მახარაძე, ლ. ცხოიძე, გ. მგელაძე, ნ. ცინცაძე, ა. ბალაძე, რ. სირაზიძე, რ. ხალვაში, ნ. ცხვარაძე, ლ. ბერიძე, თ. აფხაზავა, გ. ლომთათიძე, ლ. დოლიძე, თ. ბერიძე, ნ. მიმიგური, ვ. დარჩია, თ. კავაზაშვილი, ა. ვარშალომიძე, ა. გვიანიძე, რ. ხარაზი, ნ. ფუტკარაძე, ნ. დუმბაძე)

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: საკითხი 13. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, შავშეთის ქ. N26-ში, I სართულზე მდებარე ფართის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (47,77 კვ.მეტრი ფართი).

(მომხს:ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2022 წლის 27 სექტემბრის N5651/02 (N07-1422270462-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2013 წლის 14 ნოემბრის N285 ბრძანებით შექმნილი „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ 2019 წლის 08 ნოემბრის N25 ოქმის თანახმად დაისვა საკითხი ქალაქ ბათუმის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული ქალაქ ბათუმში, შავშეთის ქ. N26-ში, მდებარე უძრავ ქონებაში N03/1 შენობის პირველ სართულზე არსებული 47,77კვ.მეტრი საერთო ფართის (ს.კ. 05.28.31.031.01.509) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრაციისათვის საჭირო, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ. შემდგომში, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

ამასთან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა. შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოეცეს ზემოხსენებული ქონება შემდგომში, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 26

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 26 (რ. ჯინჭარაძე, ი. თავდგირიძე, ნ. ზოიძე, ზ. ნაკაიძე, მ. გოგუაძე, დ. მახარაძე, ლ. ცხომე, გ. მგელაძე, ნ. ცინცაძე, ა. ბალაძე, რ. სირაბიძე, რ. ხალვაში, ნ. ცხვარაძე, ლ. ბერიძე, თ. აფხაზავა, გ. ლომთათიძე, ლ. დოლიძე, თ. ბერიძე, ნ. ძიმიგური, ვ. დარჩია, თ. კავაზაშვილი, ა. ვარშალომიძე, ა. გვიანიძე, რ. ხარაზი, ნ. ფუტკარაძე, ნ. დუმბაძე)

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: საკითხი 14. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიხედვით გეგმარებით ერთეულზე დაგეგმილია სასტუმროს დანიშნულების მრავალსართულიანი შენობების განთავსება. აღნიშნულის განხორციელება საჭიროებს განაშენიანების გამჭიდროებას - განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდას $k_2=16,0$ -მდე, რაც „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად საჭიროებს განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებას. საპროექტო ნაკვეთები ქალაქ ბათუმის გენერალური გეგმის მიხედვით მდებარეობს შერეული ზონაში (შზ), ხოლო განაშენიანების გეგმის მიხედვით კი საქმიან ზონაში (შზ-3), სადაც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი $k_2=4,6$ -მდე.

კანონმდებლობით განსაზღვრული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს: საპროექტო მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N05.23.02.020, N05.23.01.001) დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) $k^{1/2}$ მაჩვენებლის 5 %-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემით ან დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) $k^{1/2}$ მაჩვენებლის 5 %-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობის საბაზრო ღირებულების ოდენობით სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით (მათ შორის სხვა ტერიტორიაზე საცხოვრებელი ფართობის მუნიციპალიტეტისათვის გადაცემით).

აზრი

გამოთქვებს:

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი გეგმა არის არაპროფესიონალურად შედგენილი. ექსპერტთა მსჯელობები და დასკვნები აცდენილია ერთმანეთს. დოკუმენტში უარყოფითად არის შეფასებული ზღვისპირა ზოლში მსგავსი მშენებლობები. ზოგიერთი ექსპერტის საჯარო განცხადებები და მსგავს პროექტებთან დაკავშირებით დაფიქსირებული პოზიციები მიუღებელია. კონცეფციაში აღნიშნულია, რომ არის რისკი რუსთაველის ქუჩის გამტარუნარიანობასთან დაკავშირებით. საზოგადოებრივი კვლევა მხოლოდ ფორმალურად და არასწორად განხორციელდა და რეალურად არ გამოხატავს ბათუმელთა დამოკიდებულებას. გენერალური გეგმის მიღებამდე ასეთი მასშტაბის მშენებლობები

დამატებით პრობლემას უქმნის ქალაქს და აზრს უკარგავს შემდგომში მის დამტკიცებას. განხილვაში არ ჩართეს ბათუმის გენერალურ გეგმაზე მომუშავე ჯგუფი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ტექნიკური დავალების ერთ-ერთ პუნქტში გაწერილია, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამგეგმავი გუნდის კვალიფიკაცია და მინიმუმ ორი წლის გამოცდილება ამ სფეროში აუცილებელია. აღნიშნული სრულად გადამოწმებულია და მათ კომპეტენციაში ეჭვს ვერ შეიტანთ.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 26

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22 (რ. ჯინჭარაძე, ი. თავდგირიძე, ნ. ზოიძე, ზ. ნაკვიძი, მ. გოგუაძე, დ. მახარაძე, ლ. ცხომე, გ. მგელაძე, ნ. ცინცაძე, ა. ბალაძე, რ. სირაბიძე, რ. ხალვაში, ნ. ცხვარაძე, ლ. ბერიძე, თ. აფხაზავა, გ. ლომთათიძე, ლ. დოლიძე, თ. ბერიძე, ნ. ძიმიგური, რ. ხარაზი, ნ. დუმბაძე, ა. გვიანიძე)

წინააღმდეგი - 4 (ნ. ფუტკარაძე, თ. კავაზაშვილი, ა. ვარშალომიძე, ვ. დარჩია)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 15. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის მიღების მიზანია ქალაქ ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. N68-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. N05.22.30.004) 5 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება.

ინიციატორის მიერ დასახელებული განვითარების მიზანია არსებული ერთსართულიანი, ბარაკული ტიპის, ამორტიზირებული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლება 5 სართულიანი საცხოვრებელი სახლით; არ ხდება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდა, გეგმარებითი ერთეული მოქცეულია ფარნავაზ მეფის, ვ. ფშაველას, ზ. გორგილაძის და ლ. ასათიანის ქუჩებს შორის.

კონცეფციის დამტკიცების შემდეგ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ საჭიროა კონცეფცია გადააგზავნოს შესათანხმებლად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში, საიდანაც მოსული შესაბამისი დასკვნის შემდეგ განიხილება გეგმა/პროექტი.

აზრი

გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა, ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ პროექტი მხარდასაჭერია, რადგან მოსახლეობა ითხოვს საკუთარი პირობების გაუმჯობესებას.

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ ადამიანებზე საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება მისასალმებელია, მაგრამ მეორე საკითხია კონცეფცია, რომელიც ზედაპირულადაა შესრულებული. წარმოდგენილი აზრის კვლევა არ აკმაყოფილებს არანაირ სტანდარტს ზედაპირულად ჩატარებული კვლევის გამო.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 26

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26 (რ. ჯინჭარაძე, ი. თავდგირიძე, ნ. ზოიძე, ზ. ნაკაიძე, მ. გოგუაძე, დ. მახარაძე, ლ. ცხომე, გ. მელაძე, ნ. ცინცაძე, ა. ბალაძე, რ. სირაბიძე, რ. ხალვაში, ნ. ცხვარაძე, ლ. ბერიძე, თ. აფხაზავა, გ. ლომთათიძე, ლ. დოლიძე, თ. ბერიძე, ნ. ძიმიჯური, ვ. დარჩია, თ. კავაზაშვილი, ა. ვარშალომიძე, ა. გვიანიძე, რ. ხარაზი, ნ. ფუტყარაძე, ნ. დუმბაძე)

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს:

საკითხი 16. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 თებერვლის №8 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 აგვისტოს N45 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს.: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 თებერვლის N8 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 აგვისტოს N45 განკარგულებაში

ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 04 აგვისტოს №45 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების მე-2 და მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალოს და მიენიჭოს უფლებამოსილება, რომ დამატებითი მინდობილობის გარეშე საქართველოს საერთო სასამართლოების ყველა ინსტანციაში წარმოადგინოს და დაიცვას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინტერესები, საკრებულოს იმ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებით, რომელთა პროექტებიც საკრებულოში წარმოდგენილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ასევე საკრებულოს თავმჯდომარის იმ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებით, რომელიც გამოცემულია, როგორც თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის - საკრებულოს თავმჯდომარის მიერ. შესაბამისად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია აღნიშნული კატეგორიის სამართლებრივ საქმეებზე განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მხარის ყველა უფლებამოსილება სრულად.

3. წინამდებარე განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულის გარდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის სხვა ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებით საქართველოს საერთო სასამართლოების ყველა ინსტანციაში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინტერესების წარმოდგენა და დაცვა განახორციელოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი განკარგულებით განსაზღვრულმა, საკრებულოს აპარატის უფლებამოსილმა პირმა (პირებმა).“.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ საკრებულომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, მიუხედავად ინიციატორისა.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 26

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 22 (რ. ჯინჭარაძე, ი. თავდგირიძე, ნ. ზოიძე, ზ. ნაკაიძე, მ. გოგუაძე, დ. მახარაძე, ლ. ცხიძე, გ. მგელაძე, ნ. ცინცაძე, ა. ბალაძე, რ. სირაბიძე, რ. ხალვაში, ნ. ცხვარაძე, ლ. ბერიძე, თ. აფხაზავა, გ. ლომთათიძე, ლ. დოლიძე, თ. ბერიძე, ნ. ძიმიჯური, თ. კავაზაშვილი, რ. ხარაზი, ნ. ფუტყარაძე)

წინააღმდეგი - 1 (ნ. დუმბაძე)

არ მიიღო მონაწილეობა - 3 (ვ. დარჩია, ა. გვიანიძე, ა. ვარშალომიძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 17. „ქ. ბათუმში, ძმები ზუბალაშვილების ქ.N36 მდებარე საცხოვრებელ სახლზე, გამოჩენილი ქართველი გეოფიზიკოსის, მეცნიერის, რომის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის პეტრე მანჯგალაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს.ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხოძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პეტრე მანჯგალაძე დაიბადა 1944 წლის 2 მარტს, მოსამსახურის ოჯახში. მან 1967 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი და იმავე წელს დაიწყო მუშაობა გეოფიზიკის ინსტიტუტის რეგიონალური სეისმოლოგიის განყოფილებაში, უმცროს მეცნიერ თანამშრომლად.

პეტრე მანჯგალაძე 1972-1975 წლებში სწავლობდა ასპირატურაში, ხოლო 1976 წელს პროფესორ ე. სავარენსკის ხელმძღვანელობით დაიცვა დისერტაცია. დისერტაციის დაცვის შემდეგ ის არჩეულ იქნა უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

1976-79 წწ. პეტრე მანჯგალაძე იყო გეოფიზიკის ინსტიტუტის სწავლული მდივანი, რომლის დროსაც მისი ხელშეწყობით გეოფიზიკის ინსტიტუტში დაცულ იქნა არაერთი სამეცნიერო ხარისხი. იგი გახლდათ სამეცნიერო ხელმძღვანელი დ.ზილფიმიანის საკანდიდატო დისერტაციის. 1983 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე (გარდაიცვალა 1993 წ. იტალიაში) მუშაობდა მთავარ გეოფიზიკოსად, გეოფიზიკის ინსტიტუტთან არსებულ საცდელ-მეთოდური გეოფიზიკურ ექსპედიციაში. პეტრე მანჯგალაძე ავტორია 80 მეცნიერული ნაშრომის. მის მიერ შექმნილი იყო ჯგუფი, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი საქართველოს ტერიტორიაზე სეისმური ქსელის შექმნას.

პეტრე მანჯგალაძე სრულყოფილად ფლობდა ინგლისურ, იტალიურ და რუსულ ენებს. იგი არჩეული იყო რომის უნივერსიტეტის პროფესორად. პეტრე მანჯგალაძე იყო შესანიშნავი პიროვნება, ჭეშმარიტი მეცნიერი რომლის სახელი მრავალ წელს ემახსოვრებათ მის კოლეგებს და მეგობრებს. გარდაიცვალა 1993 წელს და დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 26

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26 (რ. ჯინჭარაძე, ი. თავდგირიძე, ნ. ზოიძე, ზ. ნაკაძე, მ. გოგუაძე, დ. მახარაძე, ლ. ცხოძე, გ. მგელაძე, ნ. ცინცაძე, ა. ბალაძე, რ. სირაზიძე, რ. ხალვაში, ნ. ცხვარაძე, ლ. ბერიძე, თ. აფხაზავა, გ. ლომთათიძე, ლ. დოლიძე, თ. ბერიძე, ნ. მიძიგური, ვ. დარჩია, თ. კავაზაშვილი, ა. ვარშალომიძე, ა. გვიანიძე, რ. ხარაზი, ნ. ფუტკარაძე, ნ. დუმბაძე)

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარეს საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ მიმართა თხოვნით განცხადების გასაკეთებლად.

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ გააკეთა განცხადება „ღია კარის სხდომის“ უახლოეს დღეებში ჩანიშვნის თაობაზე, ამომრჩეველთა მოსმენისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

სხდომის მდივანი:

მზევინარ წულუკიძე